დადგენილება:**დ-37. 3726119001**
თარიღი:**29/04/2026**

დადგენილება N9

2026 წლის 29 აპრილი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს კლასების განაწილება, მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და ზღვრული ფლობის ღირებულება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. რეკომენდაცია მიეცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, სამორიგეო მანქანების რაოდენობის განსაზღვრისა და გამწესების შემდეგ, შესაბამისი ცვლილებები განახორციელოს საწვავის ლიმიტების დამდგენ სამართლებრივ აქტში და აღნიშნული ლიმიტები მიმართოს სამორიგეო მანქანების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ

მოახდინოს არარენტაბელური და ექსპლოატაციისათვის გამოუყენებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაცია აუქციონის წესით მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი